



სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



KA080120131568619

№ 2624

13 / ივნისი / 2019 წ.

სს „№2 საგზაო საექსპლუატაციო სამმართველოს“ გაფრთხილების შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: დმანისის მუნიციპალიტეტის მერია;

ტენდერის ნომერი: NAT180013120;

შესყიდვის ობიექტი: 45200000 – მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები;

მიმწოდებელი: სს „№2 საგზაო საექსპლუატაციო სამმართველო“ (ს/ნ: 225372352);

წერილობითი შეტყობინების საფუძველი: სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება.

აღწერილობითი ნაწილი

1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2019 წლის 15 აპრილს წარმოდგენილ იქნა დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის 2019 წლის 12 აპრილის № 07/1447 წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის № 4111), რომლითაც სააგენტოს ეცნობა სს „№2 საგზაო საექსპლუატაციო სამმართველოს“ (ს/ნ: 225372352) მიერ NAT180013120 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2018 წლის 12 ოქტომბრის № 149 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.2. სააგენტომ სს „№2 საგზაო საექსპლუატაციო სამმართველოს“, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართის sagzao2@gmail.com მეშვეობით, 2019 წლის 17 აპრილის № 1510 წერილით აცნობა სააგენტოში შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა.

1.3. 2019 წლის 23 აპრილს სს „№2 საგზაო საექსპლუატაციო სამმართველომ“ წარმოადგინა 2019 წლის 23 აპრილის № 06 განმარტება (რეგისტრაციის № 4466) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვან შესრულებასთან დაკავშირებით.

2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია

შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, მიმწოდებელს, 2018 წლის 12 ოქტომბრის № 149 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე, ხელშეკრულების გაფორმებიდან 90 კალენდარული დღის ვადაში (2019 წლის 10 იანვრის ჩათვლით), უნდა შეესრულებინა ქალაქ დმანისის ქუჩების მოასფალტების სამუშაოები, ხოლო 74 კალენდარული დღის ვადაში (2018 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით) – სოფელ დიდი დმანისისა და სოფელ ვარდისუბნის რკინა-ბეტონის არხების მოწყობის სამუშაოები. ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 561 350 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2019 წლის 30 მარტი. მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, რის გამოც, დმანისის მუნიციპალიტეტის მერიამ 2019 წლის 26 მარტის № 07/1171 წერილით

ცალმხრივად შეწყვიტა მხარეთა შორის გაფორმებული 2018 წლის 12 ოქტომბრის № 149 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება.

3. მიმწოდებლის პოზიცია

3.1. მიმწოდებლის განმარტებით, შემსყიდველ ორგანიზაციასთან პროექტის განხილვისას მან აღნიშნა, რომ პროექტი აუცილებლად იქნებოდა შესაცვლელი. მისი განმარტებით, ერთ ობიექტზე ჩანდა, რომ გრუნტი იყო კლდოვანი და არა მე-3 კატეგორიის, როგორც ეს მითითებული იყო ყველა ობიექტზე. ამის საპასუხოდ შემსყიდველმა ორგანიზაციამ მოითხოვა სამუშაოების დაწყება და განმარტა, რომ საჭიროების შემთხვევაში, პროექტი შეიცვლებოდა. მიმწოდებელმა აღნიშნა, რომ ნოემბერში ხერგიანის ქუჩაზე მას უნდა მოეწყო რკინა-ბეტონის ცხაურები, თუმცა 400 ცხაურის დამზადებას პროექტით გათვალისწინებული ღირებულება არ ეყოფოდა. მიმწოდებლის განმარტებით, არც ერთ საამქროს არ ჰქონდა პროექტში ნახაზით გათვალისწინებული მზა რკინა-ბეტონის არხები და ცხაურები. გარდა ამისა, ნახაზზე არსებული სპეციფიკაციები არ შეესაბამებოდა ხარჯთაღრიცხვას, ხოლო შემსყიდველი ორგანიზაცია მას აჩქარებდა. მისი განმარტებით, ვინაიდან იუსტიციის სახლის გახსნა ორჯერ გადაიდო, იგი იძულებული გახდა, სამჯერ ჩამოეტანა ცხაურები ქუთაისიდან.

3.2. მიმწოდებლის განმარტებით, ჭავჭავაძის ქუჩაზე III კატეგორიის გრუნტის ნაცვლად, აღმოჩნდა IV-V კატეგორიის გრუნტი. ბედამხედველმა პირმა მოითხოვა გრუნტის კატეგორიის შესახებ აკრედიტებული ექსპერტის დასკვნის წარდგენა, რაც მან შეასრულა. მიმწოდებელმა აღნიშნა, რომ არც ერთი ტიპის სამუშაოს შესრულება არ შეიძლებოდა პროექტის შესაბამისად, ვინაიდან იგი შეიცავდა მრავალ ხარვეზს. მიმწოდებლის განმარტებით, შემსყიდველი ორგანიზაცია ვერ ახერხებდა პროექტის კორექტირებას, კერძოდ, პროექტის ავტორის განმარტებით, პროექტს გავლილი ჰქონდა ექსპერტიზა, რის გამოც, იგი უარს აცხადებდა მის კორექტირებაზე. მიმწოდებელმა აღნიშნა, რომ მან მოითხოვა შესრულებული სამუშაოების ანაზღაურება და ხელშეკრულების შეწყვიტა. მან ასევე აღნიშნა, რომ აპირებდა სასამართლოსთვის მიმართვას.

4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2018 წლის 20 აგვისტოს დმანისის მუნიციპალიტეტმა გამოაცხადა NAT180013120 ელექტრონული ტენდერი საავტომობილო გზების მშენებლობისა (CPV45233110) და არხის მშენებლობის (CPV45247110) შესყიდვის მიზნით.

4.2. სატენდერო კომისიის 2018 წლის 20 სექტემბრის №3 სხდომის ოქმით სს „№2 საგზაო საექსპლუატაციო სამმართველო“ (ს/ნ: 225372352) გამოვლინდა გამარჯვებულად, ხოლო 2018 წლის 28 სექტემბრის № 4 სხდომის ოქმით იგი მიწვეულ იქნა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გასაფორმებლად.

4.3. 2018 წლის 12 ოქტომბერს მხარეთა შორის გაფორმდა № 149 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, მიმწოდებელს, ხელშეკრულების გაფორმებიდან 90 კალენდარული დღის ვადაში (2019 წლის 10 იანვრის ჩათვლით), უნდა შეესრულებინა ქალაქ დმანისის ქუჩების მოასფალტების სამუშაოები, ხოლო 74 კალენდარული დღის ვადაში (2018 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით) – სოფელ დიდი დმანისისა და სოფელ ვარდისუბნის რკინა-ბეტონის არხების მოწყობის სამუშაოები. ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 561 350 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2019 წლის 30 მარტი.

4.4. 2018 წლის 16 ოქტომბრის № 43 წერილით მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას აცნობა, რომ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შეიცავდა ხარვეზებს, კერძოდ:

4.4.1. ფოლადის ცხაურების გალვანიზება ან მათი შეღებვა ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული არ იყო;

4.4.2. ცხაურის სიგრძე 0,39 მეტრის ნაცვლად, უნდა ყოფილიყო 0,48 მეტრი. გარდა ამისა, ნახაზში მითითებული სპეციფიკაციების მქონე საქონელი ქართულ ბაზარზე არ მოიპოვებოდა. ამდენად, შესაძლებელი იყო მათი ჩანაცვლება;

4.4.3. დრენაჟის არხის არმირების დეტალებში გათვალისწინებული იყო 10მმ-იანი დიამეტრის არმატურა, თუმცა სტანდარტული რკინა-ბეტონის არხები საქართველოში მზადდებოდა 6-8მმ-იანი არმატურით. ამდენად, 10მმ-იანი დიამეტრის არმატურით რკინა-ბეტონის არხის მოწყობას სჭირდებოდა სპეციალური შეკვეთა, რაც ბრდიდა მისი დამზადების ვადებს.

4.5. 2018 წლის 24 ოქტომბრის №07/4404 წერილით შემსყიდველმა ორგანიზაციამ შპს „ოპტიმალ გრუპ +-“-ს გაუგზავნა მიმწოდებლის 2018 წლის 16 ოქტომბრის №43 წერილი და მოსთხოვა მოსაზრების წარდგენა.

4.6. 2018 წლის 26 ოქტომბრის №L_18-10/228 წერილით შპს „ოპტიმალ გრუპ +-“-მა შემსყიდველ ორგანიზაციას აცნობა, რომ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია უნდა დაეკორექტირებინა საპროექტო ორგანიზაციას. გარდა ამისა, წერილში ასევე აღნიშნა, რომ ფოლადის ცხაურის მონტაჟი მოიცავდა ყველა სამუშაოს, მათ შორის, გალვანიზებას.

4.7. 2018 წლის 19 ნოემბრის №44 წერილით მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას აცნობა სამუშაოების წარმოებისას გამოვლენილი უზუსტობებისა და დაბრკოლებების შესახებ. მან შემსყიდველ ორგანიზაციას

შესთავაზა პროექტის კორექტირება ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების შესაბამისად. მიმწოდებლის განმარტებით, პროექტი შეიცავდა შემდეგ ხარვეზებს:

4.7.1. არხების ამოჭრისას რამდენიმე ადგილზე აღმოჩნდა წყლის მილები და კაბელები, რაც პროექტში მოცემული არ იყო. ამდენად, სამუშაოების დროულად შესასრულებლად საჭირო იყო მათი გადატანა;

4.7.2. ზოგ ადგილზე გრუნტი III კატეგორიის ნაცვლად იყო V-VI კატეგორიის, რაც ართულებდა სამუშაოების შესრულებას;

4.7.3. პროექტით გათვალისწინებული გზის სიგანე (3,5მ) იყო ზედმეტად დიდი, ვინაიდან ცალ მხარეს ბეტონის კიუვეტები და გვერდულები არ ეტეოდა.

4.8. 2018 წლის 10 დეკემბრის №07/5045 წერილით შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის შენიშვნები წარუდგინა შპს „ოპტიმალ გრუპ +“-სა და შპს „არქიტექტურა და პროექტს“. შემსყიდველმა ორგანიზაციამ მოითხოვა ვითარების ადგილზე შესწავლა და პოზიციის წარდგენა.

4.9. 2018 წლის 17 დეკემბრის №46 წერილით მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას აცნობა, რომ მან შეასრულა 94 226 ლარის ღირებულების სამუშაოები და მოითხოვა მათი ღირებულების ანაზღაურება. მისი განმარტებით, პროექტიდან ამოსაღები იყო ზედმეტი სამუშაოები და ჩასამატებელი იყო დამატებითი სამუშაოები. გარდა ამისა, შესაძლოა, საჭირო ყოფილიყო ხელშეკრულების ღირებულების გაზრდა მაქსიმუმ 10%-მდე.

4.10. 2019 წლის 7 თებერვლის №02 წერილით მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას აცნობა, რომ პროექტში არსებული ხარვეზების გამო, სამუშაოები შეჩერებული იყო, ხოლო პროექტის კორექტირება უკვე სამი თვის განმავლობაში ვერ მოხერხდა. ამდენად, მიმწოდებელმა მოითხოვა ხელშეკრულების შეწყვეტა და ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება. მიმწოდებელმა ასევე წარადგინა ქალაქ დმანისში, ჭავჭავაძის ქუჩაზე არსებული გრუნტის კატეგორიის დასადგენად ჩატარებული გეოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა.

4.11. 2019 წლის 28 თებერვლის №07/782 წერილით შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებელს აცნობა, რომ მის მიერ წარდგენილი ცხაური დამზადებული იყო გაურკვეველი მასალისგან. გარდა ამისა, იგი ვერ უძლებდა დატვირთვას. შემსყიდველმა ორგანიზაციამ ასევე აღნიშნა, რომ 10მმ-იანი არმატურების ნაცვლად გამოყენებულ იქნა 6 და 8მმ-იანი არმატურები, ხოლო მიმწოდებლის მიერ წარდგენილ კორექტირებულ ხარჯთაღრიცხვაში მითითებული ხსენებული სამუშაოების ღირებულება იყო გაზრდილი. შესაბამისად, ვინაიდან უარესდებოდა პროექტით გათვალისწინებული პირობები და იზრდებოდა ხელშეკრულების ღირებულება, შემსყიდველმა ორგანიზაციამ უარი განაცხადა შეთანხმების გაფორმებაზე. შემსყიდველმა ორგანიზაციამ მოითხოვა პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების გაგრძელება. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი შეწყვეტდა ხელშეკრულებას.

4.12. შპს „ოპტიმალ გრუპ +“-მა 2019 წლის 14 მარტის №L_19-03/110 წერილით შემსყიდველ ორგანიზაციას აცნობა, რომ შპს „ახალი საქქალაქმშენპროექტის“ დასკვნის თანახმად, III კატეგორიის გრუნტი მდებარეობდა ჭავჭავაძის ქუჩის მარჯვენა მხარეს.

4.13. 2019 წლის 15 მარტის №07/992 წერილით შემსყიდველმა ორგანიზაციამ შპს „ოპტიმალ გრუპ +“-სა და შპს „არქიტექტურა და პროექტს“ კვლავ აცნობა მიმწოდებლის მიერ აღწერილი ხარვეზების შესახებ, კერძოდ, ქალაქ დმანისში სიონის მეორე ჩიხში გზის სიგანე იყო 3,95მ, ხოლო პროექტის მიხედვით გზა გვერდული და სანიაღვრე არხით უნდა ყოფილიყო 5,1მ, რაც შეუძლებელს ხდიდა სამუშაოების შესრულებას. გარდა ამისა, პროექტით გათვალისწინებული სპეციფიკაციების მქონე ფოლადის ცხაური ქართულ ბაზარზე არ მოიპოვებოდა. მან ასევე აღნიშნა, რომ სტანდარტული რკინა-ბეტონის არხები საქართველოში მზადდებოდა 6-8მმ-იანი არმატურით. ამდენად, 10მმ-იანი დიამეტრის არმატურით რკინა-ბეტონის არხის მონყობას სჭირდებოდა სპეციალური შეკვეთა, რაც, მიმწოდებლის განმარტებით, ზრდიდა მისი დამზადების ვადებს. ამდენად, შემსყიდველმა ორგანიზაციამ მოითხოვა ვითარების ადგილზე შესწავლა და პოზიციის წარდგენა.

4.14. 2019 წლის 22 მარტის № 04 წერილით მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას განუმარტა სამუშაოების დამაბრკოლებელი გარემოებები, ასევე მოითხოვა პროექტის კორექტირება და შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება.

4.15. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების გამო, დმანისის მუნიციპალიტეტის მერიამ 2019 წლის 26 მარტის №07/1171 წერილით ცალმხრივად შეწყვიტა მხარეთა შორის გაფორმებული 2018 წლის 12 ოქტომბრის №149 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება. მან ასევე აღნიშნა, რომ მიმწოდებელს აუნაზღაურებოდა მხოლოდ ის სამუშაოები, რომლებიც გათვალისწინებული იყო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით.

4.16. 2019 წლის 29 მარტის წერილით შპს „არქიტექტურა და პროექტმა“ შემსყიდველ ორგანიზაციას აცნობა, რომ მის მიერ შეთავაზებული წინადადება სანიაღვრე არხების კორექტირებასთან დაკავშირებით მიუღებელი იყო, ვინაიდან პროექტს გავლილი ჰქონდა ექსპერტიზა.

5. შემავამბელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ სს „№2 საგზაო საექსპლუატაციო სამმართველოს“ უნდა მიეცეს გაფრთხილება.

6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავდროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე იყოს შეწყვეტილი.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. სააგენტო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ, როგორც საქმეში არსებული დოკუმენტაციით დასტურდება, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შეიცავდა ხარვეზებს, რასაც არ უარყოფდა შემსყიდველი ორგანიზაცია. გარდა ამისა, შპს „ოპტიმალ გრუპ +“-ის 2018 წლის 26 ოქტომბრის №L_18-10/228 წერილის თანახმად, შემსყიდველი ორგანიზაციის თანხმობის შემთხვევაში, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია უნდა დაეკორექტირებინა საპროექტო ორგანიზაციას. ამდენად, მიმწოდებელი აღნიშნულ პროცესზე გავლენას ვერ იქონიებდა და მის მიერ სამუშაოების ჯეროვნად შესრულება დამოკიდებული იყო პროექტის კორექტირებაზე, რაც არ განხორციელდა, კერძოდ, 2019 წლის 29 მარტის წერილით შპს „არქიტექტურა და პროექტმა“ შემსყიდველ ორგანიზაციას აცნობა, რომ მის მიერ შეთავაზებული წინადადება სანიაღვრე არხების კორექტირებასთან დაკავშირებით მიუღებელი იყო, ვინაიდან პროექტს გავლილი ჰქონდა ექსპერტიზა. გარდა ამისა, პროექტის კორექტირებაზე უარი ასევე განაცხადა შემსყიდველმა ორგანიზაციამ, რომელმაც 2019 წლის 28 თებერვლის № 07/782 წერილში მიუთითა, რომ იზრდებოდა ხელშეკრულების ღირებულება, თუმცა არ დაკონკრეტებულა გაზრდილი ღირებულება, მაშინ, როდესაც № 149 ხელშეკრულების მე-18 მუხლი ითვალისწინებდა ხელშეკრულების ღირებულების გაზრდას 10%-ის ჩათვლით.

7.4. სააგენტო ასევე ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ არ გაქარწყლებულა მიმწოდებლის პოზიცია რამდენიმე დამაბრკოლებელ გარემოებასთან, მათ შორის, არხების ამოჭრისას აღმოჩენილ მიწებსა და კაბელებთან, ასევე სანიაღვრე არხის სიგანის გამო სამუშაოების შესრულების შეუძლებლობასთან დაკავშირებით. ამდენად, ერთმნიშვნელოვნად არ დგინდება მიმწოდებლის ბრალეულობა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულებასთან დაკავშირებით. ამასთან, სააგენტო აღნიშნავს, რომ როგორც მიმწოდებელმა საკუთარ განმარტებაში მიუთითა, მან ხელშეკრულების გასაფორმებლად გამართულ შეხვედრაზე უკვე იცოდა, რომ პროექტი იქნებოდა შესაცვლელი. გარდა ამისა, მას შეეძლო, სატენდერო წინადადების წარდგენამდე გაცნობოდა სატენდერო დოკუმენტაციას, სრულფასოვნად შეემოწმებინა მისი გამართულობა, მათ შორის, ცხაურების სპეციფიკაციებთან, ასევე არმატურის დიამეტრთან დაკავშირებით (რის გადამოწმებაც წინასწარ შესაძლებელი იყო) და იმგვარად შეეფასებინა ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების შესაძლებლობა. სააგენტო ასევე აღნიშნავს, რომ მიმწოდებელს არ გაუქარწყლებია შემსყიდველი ორგანიზაციის შენიშვნა ცხაურების გაურკვეველი მასალისგან დამზადების შესახებ. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიმწოდებელმა არ გამოიჩინა სათანადო გულისხმიერება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესასრულებლად. რაც შეეხება მიმწოდებლის მითითებას იმის შესახებ, რომ იგი აპირებდა სასამართლოსთვის მიმართვას, სააგენტო აღნიშნავს, რომ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-6 მუხლის შესაბამისად, სააგენტოში არ წარმოდგენილა სასამართლოს განჩინება, რომლითაც სააგენტოს შეეზღუდებოდა გადაწყვეტილების მიღების უფლება.

7.5. მოცემულ შემთხვევაში, დგინდება, რომ მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა 2018 წლის 12 ოქტომბრის № 149 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. ამდენად, სახეზეა მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა.

7.6. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, პრეტენდენტის/მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების თუ შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს, მისი სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის აქტივობას.

7.7. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, გაფრთხილების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი წერილობითი შეტყობინება სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, მაგრამ პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებით დაირღვევა თანაბრობის პრინციპი. გაფრთხილება გამოიყენება ერთხელ და მოქმედებს ერთი წლის განმავლობაში.


7.8. განსახილველ შემთხვევაში, სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოაღნიშნული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, მართალია, მიმწოდებელმა არ გამოიჩინა სათანადო გულისხმიერება, თუმცა ერთმნიშვნელოვნად არ დგინდება მისი ბრალეულობა ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულებაში. ამდენად, სააგენტო მიიჩნევს, რომ, ამ ეტაპზე, სს „№2 საგზაო საექსპლუატაციო სამმართველოს“ შავ სიაში დარეგისტრირებით დაირღვევა თანაბრობის პრინციპი და მიზანშეწონილია მის მიმართ გაფრთხილების გამოყენება.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-5 პუნქტით და დაადგინა:

1. სს „ № 2 საგზაო საექსპლუატაციო სამმართველოს“ (ს/ნ: 225372352) 2019 წლის 14 ივნისს მიეცეს გაფრთხილება.
2. დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს სააგენტოს ვებგვერდზე შესაბამისი ჩანაწერის გაკეთება.
3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამბდასმულია
ელექტრონულად 

ლევან რაზმაძე